დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/31 დადგენილებით

# სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, სსიპ - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ წესდებით, წინამდებარე დებულებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის საფუძვლებს, მიზნებს, ამოცანებს, ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს;

1.3. დეპარტამენტიანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის უფროსის (კანცლერი) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ დეპარტამენტის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 2. დეპარტამენტის მიზნები და ამოცანები

**2.1. დეპარტამენტის მიზნებია:**

ა) კულტურის, ხელოვნების, ჯანსაღი ცხოვრებისა დასპორტის პოპულარიზაცია საუნივერსიტეტო სივრცეში და ამ მიზნით არსებული ინფრასტრუქტურის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება;

ბ) უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებზე ზრუნვა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის მათი ინტერესების შესაბამისი გარემოს და კომფორტული პირობების შესაქმნელად;

გ) სტუდენტთა განვითარებისა და წინსვლისთვის ურთიერთობების დამყარება და აქტიური თანამშრომლობა, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან;

დ) სტუდენტებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მკვლევარებს და დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის ურთიერთობების გაღრმავება;

ე) სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, ზრუნვა სტუდენტების განვითარებაზე და მათ კარიერულ წინსვლაზე;

ვ) საკუთარი საქმიანობით უნივერსიტეტის, როგორც სტუდენტების წინსვლასა და განვითარებაზე მზრუნველი სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლება;

ზ) უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით კერძო და სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება;

თ) საგანამათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობაზე ზრუნვა;

ი) უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობა;

კ) კურსდამთავრებულების ბაზის შექმნა/მართვა, ასევე კურსდამთავრებულებთან კავშირის შენარჩუნება და ურთიერთობის გამყარება;

ლ) პოტენციური დამსაქმებლების ბაზის შექმნა და მათთან ურთიერთობა;

მ) უნივერსიტეტის სტუდენტების გაცვლითი პროექტებისა და საზაფხულო პრაქტიკების ორგანიზება;

ნ) აქტიურად თანამშრომლობა პროფესორ-მასწავლებლებთან, უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებთან, შესაბამისი რეკომენდაციების, წინადადებების მიწოდება;

ო) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა;

პ) საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების სხვადასხვა საგრანტო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის და კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციის გაწევა;

ჟ) სტუდენტური კლუბების საქმიანობების ხელშეწყობა და წახალისება;

რ) სტუდენტებისათვის გუნდური მუშაობის ხელშეწყობა;

ს) მონაწილეობის მიღება სტუდენტური ფორუმების ორგანიზებაში;

ტ) სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტების განხილვა და დაფინანსების მოძიება;

უ) მონაწილეობის მიღება სტუდენტების საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზებაში;

ფ) სტუდენტებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სტუდენტური პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა;

ქ) კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**2.2. დეპარტამენტის ამოცანებია:**

ა) უნივერსიტეტის საქმიანობის სისტემატიური და მრავალმხრივი გაშუქება საუნივერსიტეტო ტელევიზიით სტუდენტების უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით;

ბ) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ყველა ინიციატივის და განვითარებაზე ორიენტირებული პროექტის მხარდაჭერა და განხორციელება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) კულტურული და სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება მაქსიმალურად დიდი რაოდენობის სტუდენტების ჩართულობით;

დ) სპორტის, როგორც სტუდენტებისთვის ყოველდღიური მოთხოვნილების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;

ე) დეპარტამენტის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ზედამხედველობა, განვითარება და მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ვ) სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სპეციალური მასტერ-კლასების ორგანიზება და ამ მიზნით, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პროფესიონალების მოწვევა;

ზ) სტუდენტებისთვის დამატებითი პროფესიული კურსების ორგანიზება შესაბამისი ავტორიტეტული ორგანიზაციების ჩართულობით;
თ) საქმიანობის სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

## მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და თანამშრომლები

3.1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.

3.2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) წინაშე.

3.3. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

3.4. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

3.5. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) კულტურის განყოფილება;
ბ) სპორტის განყოფილება;
გ) სხვადასხვა მიმართულების მუსიკალური ანსამბლები და შემოქმედებითი ჯგუფები, სპორტის სხვადასხვა სახეობათა გუნდები და კლუბები.

3.6. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.7. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3.8. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე ან უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული პირი ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.

## მუხლი 4. დეპარტამენტის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

**4.1. დეპარტამენტის უფროსი:**
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
ბ) პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
გ)ანაწილებს თანამშრომლებს შორის ფუნქციებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას;
დ) შეიმუშავებს დეპარტამენტის საქმიანობისა და განვითარების სტრატეგიას;

ე) უზრუნველყოფს ურთიერთობების დამყარებას და აქტიურ თანამშრომლობას, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან სტუდენტთა განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან;

ვ) უზრუნველყოფს ურთიერთობების დამყარებას და აქტიური თანამშრომლობას, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვა უმაღლესი სასწავლებლების შემოქმედებით ჯგუფებთან, მუსიკისა და ხელოვნების წრის წარმომადგენლებთან და სპორტის სხვადასხვა სახეობის ასოციაციებთან;

ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის სრულყოფის მიზნით;

თ) პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციაზე, დისციპლინარული ღონისძიებების ინიცირებაზე;

ი) წარადგენს შუამდგომლობას რექტორთან იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა დეპარტამენტის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

კ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

**4.2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:**

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს დეპარტამენტის მიერ შესასრულებელი ამოცანების პრიორიტეტიზაციაში;

ბ) აკონტროლებს და ხელს უწყობს დეპარტამენტისათვის დასახული ამოცანების მიღწევის პროცესს;

გ) საჭიროებისამებრ, წარმართავს მაღალი დონის კომუნიკაციას, მოსამზადებელ შეხვედრებს, მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან უშუალო უფროსის დავალებით/მითითებით ან/და შესაბამისი სამართლებრივი აქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) დეპარტამენტის თანამშრომლებს აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით;

ე) მონაწილეობს ან თავად უწევს ორგანიზებას და კონტროლს დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, არეგულირებს და წყვეტს პროფესიულ და ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დეპარტამენტის ეფექტური მუშაობისთვის;

ვ) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების პროცესში, ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოვალეობებს მისი არყოფნის, ან მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

ზ) დეპარტამენტის უფროსის დავალებით ასრულებს სხვა ფუნქციებს.

**4.3. განყოფილების უფროსი:**

ა) ორგანიზებას უწევს განყოფილების წინამდებარე დებულებით გათვალიწინებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებს და პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე;

ბ) ახორციელებს განყოფილების თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებზე ზედამხედველობას;

გ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს და წარადგენს სხვადასხვა ხასიათის ინიციატივებს, შესაბამისი დასაბუთებით;

დ) კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან დეპარტამენტის უფროსის დავალებით;

ე) დეპარტამენტის უფროსის დავალებით ასრულებს განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

## მუხლი 5. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

**5.1. კულტურის განყოფილების ფუნქციებია:**

ა) უნივერსიტეტში კულტურული, შემოქმედებითი, სახელოვნებო საქმიანობა, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია და განვითარება;

ბ) ნიჭისა და სურვილის გათვალისწინებით სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმა;

გ) სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის მიზნით შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება;

დ) უნივერსიტეტის მულტიკულტურულგანვითარებაზე ზრუნვა და სტუდენტთა ყველა ეთნიკური ჯგუფის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;

ე) საქართველოში ქართული ხალხური ფოლკლორის შენარჩუნებაზე, განმტკიცებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა;

ვ) კულტურის სფეროში დასახული მიზნებისა და მიმართულებების შესაბამისად, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების ჩართულობით კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება;

ზ) ინფორმაციული შეხვედრების ჩატარება და კულტურის დღეების დაგეგმვა;

თ) პარტნიორული ურთიერთობების დამყარება კულტურის სხვადასხვა ცენტრებთან, შემოქმედებით ჯგუფებთან და კლუბებთან;

ი) უნივერსიტეტის ფარგლებში კულტურის და ხელოვნების პრიორიტეტული დარგების გამოვლენა და მხარდაჭერა;

კ) დებულებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.

**5.2. სპორტის განყოფილების ფუნქციებია:**

ა) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების, უნივერსიადების ორგანიზება სტუდენტ-ახალგაზრდობასა და თანამშრომლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად;

ბ) სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტ-სპორტსმენთა მოზიდვა და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, მათთვის ხელშეწყობა მსოფლიო და ქვეყნის მასშტაბით უნივერსიტეტის სახელით უნივერსიადებში მონაწილეობის მისაღებად;

გ) გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების მომზადება;

დ) უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული სპორტის სახეობების გამოვლენა და მათი ხელშეწყობა;

ე) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების ჩართულობით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა;

ვ) ინფორმაციული შეხვედრებისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარება;

ზ) პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა სპორტულ ცენტრებთან და კლუბებთან;

თ) უნივერსიტეტში არსებული სპორტის ინფრასტრუქტურის და ინვენტარის მოწესრიგება, სარგებლობა და ზრუნვა;

ი) დებულებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.

## მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

6.2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.